საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N746 2024 წლის 30 მაისი ქ. თბილისი

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018 – 2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2023 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

ა) „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018 – 2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №2735 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების მერებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების შესაბამისად, მუნიციპალიტეტებს გამოეყოფათ კაპიტალური გრანტი;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარი;

გ) რიგმა მუნიციპალიტეტებმა, მემორანდუმის ვადის ამოწურვის მიუხედავად, განაგრძეს სამიზნე ინდიკატორების შესრულება.

2. „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018 – 2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №2735 განკარგულების მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერის“ (პროგრამული კოდი: 56 12) პროგრამის ასიგნებიდან კაპიტალური გრანტის გამოყოფა, არაუმეტეს 16 890 000 (თექვსმეტი მილიონ რვაას ოთხმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით, შემდეგი მუნიციპალიტეტებისთვის:

ა) თელავის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 960 000 (ცხრაას სამოცი ათასი) ლარისა;

ბ) გორის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 850 000 (რვაას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 800 000 (რვაასი ათასი) ლარისა;

დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 700 000 (შვიდასი ათასი) ლარისა;

ე) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 690 000 (ექვსას ოთხმოცდაათი ათასი) ლარისა;

ვ) ახალციხის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 610 000 (ექვსას ათი ათასი) ლარისა;

ზ) ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარისა;

თ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 550 000 (ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

ი) ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 550 000 (ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

კ) ჭიათურის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 530 000 (ხუთას ოცდაათი ათასი) ლარისა;

ლ) ტყიბულის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 530 000 (ხუთას ოცდაათი ათასი) ლარისა;

მ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 530 000 (ხუთას ოცდაათი ათასი) ლარისა;

ნ) საჩხერის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 510 000 (ხუთას ათი ათასი) ლარისა;

ო) ვანის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა;

პ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა;

ჟ) მესტიის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 450 000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

რ) მარნეულის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 450 000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

ს) ასპინძის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 400 000 (ოთხასი ათასი) ლარისა;

ტ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 400 000 (ოთხასი ათასი) ლარისა;

უ) ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 400 000 (ოთხასი ათასი) ლარისა;

ფ) ხონის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 400 000 (ოთხასი ათასი) ლარისა;

ქ) ახმეტის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 400 000 (ოთხასი ათასი) ლარისა;

ღ) დმანისის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 350 000 (სამას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

ყ) ყვარლის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარისა;

შ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარისა;

ჩ) სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარისა;

ც) გურჯაანის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 260 000 (ორას სამოცი ათასი) ლარისა;

ძ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 260 000 (ორას სამოცი ათასი) ლარისა;

წ) სენაკის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 260 000 (ორას სამოცი ათასი) ლარისა;

ჭ) ადიგენის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 260 000 (ორას სამოცი ათასი) ლარისა;

ხ) ცაგერის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

ჯ) დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 230 000 (ორას ოცდაათი ათასი) ლარისა;

ჰ) ახალქალაქის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 200 000 (ორასი ათასი) ლარისა;

ჰ[1]) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 200 000 (ორასი ათასი) ლარისა;

3[2]) ონის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 200 000 (ორასი ათასი) ლარისა;

3[3]) ქედის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 200 000 (ორასი ათასი) ლარისა;

3[4]) ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 180 000 (ას ოთხმოცი ათასი) ლარისა;

3[5]) ქარელის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 160 000 (ას სამოცი ათასი) ლარისა;

3[6]) თერჯოლის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 160 000 (ას სამოცი ათასი) ლარისა;

3[7]) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 160 000 (ას სამოცი ათასი) ლარისა;

3[8]) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

3[9]) სიღნაღის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 100 000 (ასი ათასი) ლარისა;

3[10]) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტისთვის – არაუმეტეს 100 000 (ასი ათასი) ლარისა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**